შეხვედრის ოქმი
19 მარტი, რუსთავი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ რუსთავში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და რუსთავის ახალგაზრდული ფორუმის წევრები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენელმა ვაკო ნაცვლიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მიმდინარე რეფორმამ. შეხვედრის რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა მათი გამოცდილების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დადგენილი ვადების დარღვევასთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ აუცილებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქალაქეს მიაწოდოს დასაბუთებული უარი და აუხსნას მას ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის და ზოგადად, დამოუკიდებელი, საზედამხედველო ორგანოს შექმნის შესახებ. მათი მოსაზრებით, ამგვარი ორგანოს შექმნის შემთხვევაში, არსებითია, მას ჰქონდეს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და მოქმედების მოქნილი და სწრაფი მექანიზმები. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია საზედამხედველო ორგანოს ჰქონდეს სანქცირების უფლებამოსილება, რაც შექმნის დამატებით მოტივაციას საჯარო დაწესებულებებისთვის სათანადო ყურადღება დაუთმონ საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხს. დამსწრეთა ნაწილი თვლის, რომ არსებული სამართლებრივი ბაზა გამართულია და არ საჭიროებს გადასინჯვას. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების რეფორმა; შეხვედრის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მათ წარმატებით ისარგებლეს ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციით.

- შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს იუსტიციის სახლის კონცეფცია და მისი სამომავლო გეგმები, კერძო სერვისების დამატებასთან და უკუკავშირის

სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა სურვილი იუსტიციის სახლში ახალი სერვისების დამატებამ არ გამოიწვიოს ზოგადად, მომსახურების პროცედურების გახანგრძლივება და აღნიშნული კვლავ დარჩეს სწრაფი და მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული.

- შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ზოგადად, საჯარო სამსახურის ეფექტურობის შესახებ. მათი მოსაზრებით, აუცილებელია მოხდეს საჯარო მოხელეთა წახალისება ბონუსების მეშვეობით, რასაც საფუძვლად დაედება მათ მიერ გაწეული შრომის შეფასება. შეხვედრის მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა თვლის, რომ საჯარო მოხელეთა წახალისება პირდაპირ უკავშირდება მათი მოტივაციის ამაღლებას და შესაბამისად, საჯარო სამსახურის ეფექტურ საქმიანობას. განხილვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე წესების შემუშავების აუცილებლობის თემას. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა თანხმდება, რომ საჭიროა თითოეულ ვაკანსიაზე არსებობდეს ზუსტად გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ჩამოყალიბდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეფასდებიან კონკურსანტები გასაუბრების ეტაპზე და რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კონკურსში მონაწილე თითოეული პირისთვის. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასურველია გამოქვეყნდეს ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ შერჩეული პირის(ების) შესახებ ინფორმაციასთან ერთად, რაც გაზრდის საჯარო სამსახურის გამჭვირვალობას.

- შეხვედრის მოდერატორებმა დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ და ისაუბრეს მათი განვითარების გეგმაზე. შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ცენტრების კონცეფცია და სურვილი გამოთქვეს გაიზარდოს მათი რიცხვი საქართველოს მასშტაბით.

- შეხვედრაზე განხილულ იქნა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება შექმნას საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მონიტორინგის პროცესში უნდა ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები.

- შეხვედრის დასასრულს მოდერატორებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მოქალაქის პორტალი და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები.